სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/110

ქ. თბილისი

26 ივნისი 2025წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №2 ოქმის (23.06.25.) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისს №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2025 წლის 23 ივნისს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თამაზი ურთმელიძის უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**